მეცნიერული კვლევა პარიზში

ცხადდება ფრანგულ და ინგლისურენოვან მკვლევართა პროექტების მიღება

გაიხსნა 2011 წლისათვის პროექტის « სამეცნიერო კვლევა პარიზში » კანდიდატების მიღება კანდიდატურის წარდგენის ბოლო ვადაა : ხუთშაბათი, 2011 წლის 10 მარტი

2003 წლიდან, პარიზის მერია უცხოელ მკვლევარბს, პოსტსადოქტორანტებსა და გამოცდილ სპეციალისტებს სთავაზობს შერჩევით პროგრამებს პარიზის სახელმწიფო ლაბორატორიებში განსაზღვრული დროით სამუშაოდ. ამ პროგრამის მიზანია გაამარტივოს ახლად ჩამოყალიბებული თანამშრომლობა და გააძლიეროს არსებული თანამშრპლობა უცხოეთის დიდი ქალაქებისა და პარიზის კვლევით ცენტრებს შორის. 2011 წელს დაახლოებით 70 მკვლევარს მიენიჭება დახმარება.

კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება უცხოელი, ფრანგულ და/ან ინგლისურენოვანი მკვლევარების მხარდასაჭერად.

უპირატესობა ენიჭებათ ახალგაზრდა, უცხოელ მკვლევარებს, რომლებსაც სადოქტორო დაცული აქვთ არაუმეტეს ხუთი წლის წინ. თუმცა, დახმარებების არაუმეტეს ერთი მესამედი განაწილდება გამოცდილ მეცნიერებზე, რომლებსაც ხუთ წელზე მეტი ხნის წინ აქვთ დაცული სადოქტორო.

კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის ტიტული და მუშაობდნენ მათი ქვეყნის კვლევით დაწესებულებაში.

გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ სადოქტოროს დაცვა მიმდინარე წლის მაისის თვემდე შედგება. ამრიგად, სადოქტოროს ხელმძღვანელის ცნობა (დაცვის თარიღის შესახებ) უნდა დაერთოს დოსიეს დოქტორის სერთიფიკატის ნაცვლად.

შერჩევაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ :

- ფრანგი ეროვნების კიანდიდატები
- საფრანგეთში მცხოვრები ან მომუშავე უცხოელი კანდიდატები, რომლებმაც უკვე ისარგებლეს ამ პროექტის ფარგლებში დახმარებით

მიღების ადგილი

პროექტში მონაწილეობას იღებს პაარიზში არსებული ყველა სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორია, მათ შორის ის ლაბორატოერიებიც, რომლებშიც უკვე მუშაობენ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში შერჩეული მაძიებლები.

დარგები

პროგრამა ეხება ყველა დარგს. განსაკუთრებული წახალისებით სარგებლობს მრავალდარგობრივი კვლევები, ასევე, კვლევები ახლად აღმოცენებულ სფეროებში.

ლაურეატების ხარჯების დაფარვა და მიღება

ხანგრძლიობა

- პოსტ-დოქტორანტებისათვის : მინიმუმ 3 თვიანი, მაქსიმუმ 12 თვიანი მივლინება
- გამოცდილი მეცნიერებისათვის : 2-დან 3 თვემდე ხანგრძლიობის მივლინება

ჩამოსვლის პერიოდი : 2011 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 28 თებერვლადე.

სტიპენდია :

ფულადი დახმარების ოდენობა და გადახდის ფორმა
- პოსტ-დოქტორანტებისათვის: 2500 ევრო ყოველთვიურად
- გამოცდილი მეცნიერებისათვის : 3000 ევრო ყოველთვიურად

ქალაქ პარიზის მიერ გამოყოფილი დახმარება გამორიცხავს სხვა დახმარების მიღებას.

ბოლო თვის სტიპენდიის გადახდა მოხდება, განხორციელებული სამეცნიერო სამუშაოების, ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი ანგარიშის შედეგად.

მგზავრობის ხარჯები და სამედიცინო დაზღვევა

საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების დაფარვა გათვალისწინებულია და ნაზღაურდება კანდიდატის გეორგაფიული წარმომავლობისა და გადახდილი თანხის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

პროგრამა ანაზღაურებს ასვე მკვლევარის სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს.

კანდიდატურის წაყენების ფორმა

კანდიდატურის შემოტანა ხდება არამატერიალური სახით, ქალაქ პარიზის ვებ გვერდზე www.recherche.paris.fr, ყველა დამატებითი დოკუმენტი ამავე ვებ გვერდის მეშვეობით იგზავნება.

კანდიდატურის შემოტანის ბოლო ვადაა, ხუთშაბათი, 2011 წლის 10 მარტი, შუაღამე.

მკვლევარებმა უნდა შეავსოვ ელექტრონული ანკეტა და დართული ფაილით გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე :

- CV ერთი გვერდი
- დოქტორის სერთიფიკატი (სკანირებული)
- მიმღები ლაბორატორიის ცნობა (ლაბორატორიის სატიტულო ფურცელზე შედგენილი, ბეჭედდასმული, სკანირებული)
- კანდიდატისა და მიმღები ლაბორატორიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საპრეზენტაციო დოსიე (ჩამოსატვირთი ანკეტა)

შერჩევის კრიტერიუმები

მეცნიერული თვალსაზრისით სრულყოფილი დოსიე (კანდიდატი, პროექტი, მიმღები სახელმწიფო ლაბორატორია) ლაურეატების შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმია.

სამენიერო ხარისხის გარდა გათვალისწინებულია ასევე სხვა კრიტერიუმები :
- დისციპლინებს შორის წონასწორობის დაცვა
- კანდიდატის საკუთარი, სამუშაო და მიმღები დაწესებულებების მიზნები და მათ შორის თანამშრომლობის პერსპექტივები

დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებედ გთხოვთ მიმართოთ ინტერნეტ გვერდს : www.recherche.paris.fr